ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №295084

ნომერი: AR170891

თარიღი : 02.08.2012

გაცემის თარიღი : 03.08.2012

გაცნობის თარიღი : 06.08.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლუბლიანა , N22 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან არჩვაძე პ/ნ 01008003259
- თბილისი ზ.ფალიაშვილის ქ. N 24

ორგანიზაცია:

- M სევისი კოდი: 202456920

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 27.09.11 წ. №01/28889 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 08/02/2012 წ. №170891 განცხადებით მომართა ლევან არჩვაძემ და მოითხოვა 26.07.2011 წლის №01/2006 ბრძანებაში არსებული მაჩვენებლების შესაბამისად სამსახურის 27.09.2011 წლის №01/2889 ბრანებაში ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების დამატება. სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩა №22-ში, შპს „M სერვისის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, 26.07.11 წ. №01/2006 ბრძანებით შეთანხმდა დამხმარე ნაგებობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. 27.09.11 წელს სამსახურის №01/2889 ბრძანებით მოხდა ზემოაღნიშნული არქიტექტურული პროექტის კორექტირება და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რის შედეგადაც შეიცვალა მხოლოდ საპროექტო ობიექტის ვიზუალური მხარე.
ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 27.09.11 წ. №01/2889 ბრძანებაში არ იქნა მითითებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და არც შენიშვნა გაკეთდა იმის თაობაზე, რომ წინამდებარე ბრძანება განხილული ყოფილიყო 26.07.11 წ. №01/2006 ბრძანებასთან ერთად თუმცა, ბრძანების საფუძვლებში მითითებულ იქნა ძირი ბრძანების რეკვიზიტები. გამომდინარე აქედან, ცხადია, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 27.09.11 წ. №01/2889 ბრძანებაში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე საჭიროა, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების სახით შევიდეს ცვლილება.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 27.09.11 წ. №01/28889 ბრძანებაში კერძოდ: ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები ჩამოყალიბდეს 26.07.11 წ. №01/2006 ბრძანებაში არსებული მაჩვენებლების შესაბამისად;
2. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 27.09.11 წ. №01/28889 ბრძანებაში დაემატოს მე-3 პრიმა მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 26.07.11 წლის №01/2006 ბრძანებასთან ერთად;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 27.09.11 წ. №01/28889 ბრძანებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლებე გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.